უნიათო თამაში და გაფუჭებული პენალტი

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 26 აპრილი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (2:0).

“სპარტაკი”: პროხოროვი (დარვინი), ბუკიევსკი, ოლშანსკი, ლოვჩევი, ოსიანინი, პაპაევი (პისკარიოვი), ბულგაკოვი, მინაევი, პილიპკო, გლადილინი, ანდრეევი.

“დინამო”; გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მუჯირი, გავაშელი, ქორიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, მ. მაჩაიძე, რეხვიაშვილი (ესებუა).

მსაჯი: ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები – 0:0.

მოსკოველ ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვდათ თბილისის დინამოელთა თამაშის ტაქტიკა წინა მატჩში დედაქალაქის თანაკლუბელებთან. მაშინ სწრაფი და მოულოდნელი კონტრშეტევების, ცალკეულ ფეხბურთელთა კარგი გარღვევების წყალობით სტუმრებმა წარმატებით გადაწყვიტეს მეტოქის ძლიერი დაცვის დაძლევის ამოცანა და სამჯერ აიღეს კარი. თუ შემდგომ მათ 2 ბურთი გაუშვეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კონტრიერიშებს მოუკლეს და მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანეს.

იმ მატჩის ზუსტი ასლი იყო სპარტაკელებთან შეხვედრის დასაწყისი. მასპინძლებმა სწორად ვერ ითამაშეს მე–4 წუთზე, დინამოელებმა დაუყოვნებლივ გაითამაშეს ბურთი, რეხვიაშვილმა მინდვრის ცენტრში შეასრულა რეიდი და უაღრესად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა პროხოროვის წინ. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა შემდგომ თამაში, რეხვიაშვილს ეს მომენტი რომ გამოეყენებინა, მაგრამ მან გოლი ვერ გაიტანა. ამის შემდეგ ასეთი სიტუაცია თბილისელებს აღარ ჰქონიათ. გუცაევმა პირწმინდად წააგო ბრძოლა ლოვჩევთან, მისი პარტნიორებიც ვეღარ აღწევდნენ თავს შუა მინდვრის ტყვეობას და უპირატესობას საფუძვლიანად დაეუფლნენ მოსკოველები. ანგარიში 25–ე წუთზე გაიხსნა: მინაევი სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე, ცენტრში გადააწოდა ბურთი და პილიპკომ საჯარიმო მოედნიდან რამდენიმე მეტრის დაცილებით ძლიერად დაარტყა და ზუსტად მოახვედრა “ცხრიანში” – 1:0.

მეორე გოლი საკმაოდ უჩვეულოდ გავიდა: თბილისელთა მცველებმა თამაშგარე მდგომარეობა მიიჩნიეს 43–ე წუთზე, როცა ბულგაკოვმა შორიდან მიიღო გადაცემა და ყველა ერთად შეჩერდა. რა თქმა უნდა, ეს მიუტევებელი შეცდომა იყო, ვინაიდან, სანამ მსაჯი სასტვენს არ მისცემს, გაჩერების უფლება არავის არა აქვს. მოსკოველი გავიდა წინ და თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი გოგიას – 2:0.

შესვენების შემდეგ სტუმრები უფრო აქტიურად, მონდომებით იბრძოდნენ, თამაშიც გათანაბრდა, მაგრამ “სპარტაკი” სულაც არ აპირებდა მონაპოვრის დაკარგვას. ორმხრივი თანაბარი ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა თბილისელებს მიეცათ ანგარიშში სხვაობის შემცირების რეალური შესაძლებლობა – 90–ე წუთზე მსაჯმა პენალტი დანიშნა მოსკოველთა კარში. 11–მეტრიანის დარტყმა გუნდმა მიანდო ჭელიძეს, მან კი ვერ დაარტყა, ისე, როგორც საჭირო იყო, და ბურთის აღების საშუალება მისცა დარვინს, რომელმაც ორიოდე წუთით ადრე შეცვალა კარში პროხოროვი.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 29 აპრილი, 1975 წ.